ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2143697

ნომერი: AR1335359

თარიღი : 16.08.2015

გაცემის თარიღი : 25.08.2015

გაცნობის თარიღი : 25.08.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა გელაშვილი პ/ნ 13001005058
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 1 ბ. 114

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1335359 (16.08.15.) განაცხადის პასუხად, რომლითაც იითხოვთ ქ. თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #81.08.33.187 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ: რომ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს სასოფლო–სამეურნეო ზონაში (სოფზ)–ში, რომელიც ქალაქ თბილისის საკრებულოს2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით წარმოადგენს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დამხმარე შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად და ასევე, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსება სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე. სასოფლო–სამეურნეო ზონაში (სოფზ) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები არ გააჩნია.

აღნიშნულ ზონაში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციით დაშვებული არ არის. წარმოდგენილი საკადასტრო ერთეულის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ფუნქციით სამშენებლოდ განვითარებაზე სამსახურმა შესაძლებელია იმსჯელოს ამავე განცხადის დახარვეზებულ ველებში შესაბამისი მოთხოვნის და მასალის ატვირთვის შემდეგ. სამსახურის შეუამდგომლობით საკითხი განხილული იქნება ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე სპეციალური ზონალური შეთანხმების მისაღებად.

ამასთან წარმოსადგენია: თვალსაჩინო ადგილას განთავსებული მინიმუმ A2 გაბარიტების საინფორმაციო დაფა (ფოტოები გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან), ისე, რომ შესაძლებელია იყოს ინფორმაციის წაკითხვა. რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:

ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;

ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;

გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;

დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები;

საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 83–ე მუხლისშესაბამისად თქვენგეძლევათ განაცხადისგამოგზავნიდან 15 დღიანივადა მოთხოვნის დასაზუსტებლად, თუსამსახურის მიერდანიშნულ ვადაშიარ იქნება დაზუსტებული ინფორმაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.